

შპს „სპორტსაიენს ჯორჯია“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება.....	3
ინდივიდუალური სრული შემოსავლების ანგარიშგება	3
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
ინდივიდუალური საკუთარ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5
ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი საადრიცხვო შეფასებები.....	8
4. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	9
5. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი).....	9
6. ფინანსური მოგება/(ზარალი)	10
7. ძირითადი საშუალებები	10
8. მარაგები	11
9. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან.....	11
10. ფული და ფულის ექვივალენტები	11
11. სესხები.....	12
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
13. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	13
14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
15. მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	17

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ინდივიდუალური სრული შემოსავლების ანგარიშგება


საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი აბონიმენტიდან	170,305	407,869
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	30,088	33,950
სულ შემოსავალი	200,392	441,819
რეალიზებული პროდუქციის		
თვითღირებულება	(17,406)	(20,740)
შრომის ანაზღაურება	(449,226)	(591,669)
ცვეთა და ამორტიზაცია	(333,593)	(381,075)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(247,063)	(199,649)
კომუნალური ხარჯები	(66,061)	(120,223)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,113,350)	(1,313,356)
საოპერაციო ზარალი	(912,957)	(871,537)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	5	10,679
ფინანსური მოგება/(ზარალი)	6	(4,531)
კურსთა შორის სხვობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	4,514	(209)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	(902,295)	(1,071,250)
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება/(ზარალი)	(902,295)	(1,071,250)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული 2022 წლის 03 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:



გ. ოქრიაშვილი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ინდივიდუალური სრული შემოსავლების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი აბონიმენტიდან		170,305	407,869
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან		30,088	33,950
სულ შემოსავალი		200,392	441,819
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება		(17,406)	(20,740)
შრომის ანაზღაურება		(449,226)	(591,669)
ცვეთა და ამორტიზაცია		(333,593)	(381,075)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	4	(247,063)	(199,649)
კომუნალური ხარჯები		(66,061)	(120,223)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,113,350)	(1,313,356)
საოპერაციო ზარალი		(912,957)	(871,537)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	5	10,679	1,476
ფინანსური მოგება/(ზარალი)	6	(4,531)	(200,980)
კურსთა შორის სხვობიდან მიღებული		4,514	(209)
მოგება/(ზარალი)			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის		(902,295)	(1,071,250)
ხარჯამდე			
მოგების გადასახადი			-
წმინდა მოგება/(ზარალი)		(902,295)	(1,071,250)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული 2022 წლის 03 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი: _____ გ. ოქრიაშვილი

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	3,142,455	3,436,800	3,689,870
არამატერიალური აქტივები	7	170,688	141,885	164,678
		3,313,143	3,578,685	3,854,548
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	8	128,659	60,413	49,132
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	13,442	20,005	88,215
მოთხოვნა დამფუძნებლის მიმართ		216,496	216,496	216,496
საგადასახადო აქტივი			47,354	
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	52,339	36,968	171,586
		410,936	381,236	525,429
სულ აქტივები		3,724,079	3,959,921	4,379,977
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		7,975,453	7,360,453	5,521,655
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		(4,318,633)	(3,416,337)	(2,345,086)
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)				
		3,656,820	3,944,116	3,176,569
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სასესხო ვალდებულება	11	-	-	952,309
		-	-	952,309
მოკლევადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი		-	-	225,889
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	52,761	15,805	17,005
საგადასახადო ვალდებულება		14,498	-	8,205
		67,259	15,805	251,099
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,724,079	3,959,921	4,379,977

ინდივიდუალური საკუთარ კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2019 წლის 1 იანვარი	5,521,656	(2,345,085)	3,176,571
წლის მთლიანი ზარალი	-	(1,071,250)	(1,071,250)
დამატებითი შენატანი კაპიტალში	1,838,798	-	1,838,798
2019 წლის 31 დეკემბერი	7,360,454	(3,416,335)	3,944,119
წლის მთლიანი ზარალი	-	(902,295)	(902,295)
დამატებითი შენატანი კაპიტალში	615,000	-	615,000
2020 წლის 31 დეკემბერი	7,975,454	(4,318,630)	3,656,824

ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2020	2019
გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები	239,267	500,029
გასავლები		
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(257,156)	(337,900)
გადახდილი ხელფასები	(465,190)	(480,284)
საგადასახადო ხარჯი	(115,450)	(274,530)
გადასახდელი პროცენტები	-	(73,625)
სულ საოპერაციო ხარჯები	(837,796)	(1,166,339)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(598,529)	(666,309)
კაპიტალური დანახარჯები	-	-
სულ ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
დამფუძნებლისგან მიღებული თანხა	615,000	1,838,798
მიღებული/(გადახდილი) სესხები	-	(1,298,799)
სულ ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	615,000	539,999
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	16,471	(126,310)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	36,968	171,587
ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(1,099)	(8,309)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	52,339	36,968

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სპორტს საიენს ჯორჯია დაფუძნდა 2015 წლის 9 მარტს. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სპორტული მომსახურების გაწევა.

კომპანიის 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი კახაბერ ოქრიაშვილი.

კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ე. მანჯგალაძის ქ. # 16.

2. მომზადების საფუძველი

მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს), ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, რაც ნიშნავს, რომ კომპანია პროგნოზირებად მომავალში განაგრძობს ფუნქციონირებას. კომპანიის მენეჯმენტს და ხელმძღვანელობას სურვილი აქვთ განავითარონ საქმიანობა და სჯერათ, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარებში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები

მომავალი პერიოდებისათვის კომპანია ახდენს გარკვეული საადრიცხო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

1) ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოსახურების ვადები

სასარგებლო მომსახურების ვადაზე დამოკიდებულია აქტივის ცვეთის ხარჯი. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება პერიოდით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია საწარმოს მიერ აქტივების გამოყენება და შესაბამისად დამოკიდებულია კომპანიის მენეჯმენტის შეფასებაზე. ვადები პერიოდულად გადაიხედება და შეფასების ცვლილების შემთხვევაში შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილებები კონკრეტულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებაზე და სრული შემოსავლების ანგარიშებაში ასახულ ინფორმაციაზე.

2) ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურების მოთხოვნები სტანდარტის ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით ეყრდნობა „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელს. კომპანია ვალდებულია აღიაროს შემდგომი 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ან არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, იმის მიხედვით აღიარების დღიდან რამდენად მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი. ECL-ის მოდელისთვის აუცილებელია მომავალ პერიოდზე გარკვეული გათვლების გაკეთება, მათ შორის მაკროეკონომიკური ფაქტორების ცვლილებების გავლენის განსაზღვრა. ამ მოდელით შეფასება, შესაბამისად, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ დაშვებებზე. კომპანიები ვალდებული არიან გაამყდონ ეს დაშვებები და გაანგარიშების ტექნიკა და უზრუნველყონ საკრედიტო რისკის შეფასების პროცესის მაქსიმალური ობიექტურობა და გამჭვირვალობა.

4. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

სხვა ადმინისტრაციული ხარჯები 2020 და 2019 წლისთვის წარმოდგენლია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
სხვა ხარჯები	38,910	39,035
მომსახურების ხარჯები	-	5,556
ბანკის მომსახურების ხარჯები	8,575	15,248
ოფისის ხარჯები	95,628	42,013
დასუფთავების ხარჯები	469	2,213
სამეურნეო ხარჯები	16,482	18,085
საავტორო ჰონორარის ხარჯები	4,029	9,083
ტრანსპორტირების ხარჯები	3,614	7,415
რეკლამის ხარჯები	39,625	5,031
რემონტის ხარჯები	3,363	17,958
საგადასახადო ხარჯი	36,368	38,012
იჯარის ხარჯები		
	247,063	199,649

5. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი) 2020 და 2019 წლისთვის წარმოდგენლია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	11,017	1,751
შემოსავალი სარემონტო სამუშაოებიდან	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(248)	(275)
სარემონტო მასალების ხარჯები	-	-
სარემონტო სამუშაოების ხელფასები	-	-
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-
	10,769	1,476

6. ფინანსური მოგება/(ზარალი)

ფინანსური მოგება/(ზარალი) 2020 და 2019 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>31.12.2020</u>	<u>31.12.2019</u>
სესხის პროცენტის ხარჯები	-	(73,636)
სესხის გადაფასების შედეგად მიღებული მოგება/(ზარალი)	-	(129,179)
საკურსო სხვაობა	(5,612)	-
საპროცენტო შემოსავლები	1,081	1,835
	<u>(4,531)</u>	<u>(200,980)</u>

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018, 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	შენობები	მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სპორტული ინვენტარი	სხვა
2018 წლის 31 დეკემბერი	2,500,000	521,655	102,981	240,935	1,214,167	4,579,739
შემოსვლა	-	3,949	1,805	68,973	28,239	102,966
კაპიტალიზაცია	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	2,500,000	525,604	104,786	309,909	1,242,407	4,682,705
შემოსვლა	-	-	3,528	2,371	9,529	15,428
კაპიტალიზაცია	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	2,500,000	525,604	108,314	312,280	1,251,936	4,698,133
2018 წლის 31 დეკემბერი	243,750	80,126	44,149	91,578	430,265	889,867
ცვეთა	112,813	35,638	11,021	38,854	157,711	356,037
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	356,563	115,764	55,169	130,432	587,976	1,245,904
ცვეთა	107,172	32,787	9,363	32,379	128,074	309,774
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	463,734	148,552	64,532	162,811	716,050	1,555,678
2019 წლის 1 იანვარი	2,256,250	441,529	58,832	149,358	783,903	3,689,872
2019 წლის 31 დეკემბერი	2,143,438	409,839	49,617	179,477	654,431	3,436,801
2020 წლის 31 დეკემბერი	2,036,266	377,052	43,782	149,469	535,886	3,142,455

შპს სპორტს საიენს

კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები არ არის ჩადებული სესხის ან სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფაში.

8. მარაგები

მარაგები 2018, 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
საკვები დანამატი	32,465	24,567	25,651
სამაჯურები	13,973	14,436	4,866
სპორტული ტანსაცმელი	15,348	-	-
მაისურები	5,137	5,809	6,981
პროტეინი	10,167	5,863	3,266
სხვა	32,019	9,738	8,368
ვიტამინები	19,550	-	-
	128,659	60,413	49,132

9. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

მოკლევადიანი მოთხოვნები 2018, 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	13,442	20,005	88,215
	13,442	20,005	88,215

10. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018, 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	3,258	1,482	162,420
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	45,799	35,483	8,601
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3,281	3	549
	52,338	36,968	171,586

უცხოური ვალუტა:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
USD	3,281	3	516
EUR	-	-	33
	3,281	3	549

11. სესხები

მიმდინარე მდგომარეობით კომპანიას სესხები არ გააჩნია, რადგან სესხის დაფარვა მოხდა 2019 წელს. საპროცენტო ხარჯი 2019 წელს შეადგენდა 73,625 ლარს.

სესხის გადაფასების შედეგად (კურსთა შორის სხვაობიდან) მიღებული მოგება/ზარალი 2019 წელს შეადგენდა (120,601) ლარს.

ვინაიდან 2020 წელს სესხი აღარ არის, არც საპროცენტო ხარჯი და არც გადაფასების შედეგად მიღებული მოგება/ზარალი არ გვექნება.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები 2018, 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	<u>31.12.2020</u>	<u>31.12.2019</u>	<u>31.12.2018</u>
სავაჭრო ვალდებულებები	52,760	11,274	9,103
სხვა ვალდებულებები	1	4,531	7,902
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი			225,889
საგადასახადო ვალდებულება	14,498		8,205
	<u>67,259</u>	<u>15,805</u>	<u>251,099</u>

13. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები, როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ექვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი შემდეგნაირად:

	<u>31.12.2020</u>	<u>31.12.2019</u>
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	13,442	20,005
ფული და ფულის ექვივალენტები	<u>52,338</u>	<u>36,968</u>
	<u>65,780</u>	<u>56,973</u>

ფინანსური ვალდებულებები

	<u>31.12.2020</u>	<u>31.12.2019</u>
სავაჭრო ვალდებულებები	52,760	11,274
სხვა ვალდებულებები	1	4,531
საგადასახადო ვალდებულება	<u>14,498</u>	
	<u>67,259</u>	<u>15,805</u>

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის.

ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა

როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის

შპს სპორტსაიენს

პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

საკრედიტო რისკი

ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში წარმოადგენს საკრედიტო რისკს. რისკის განხილვისას გასათვალისწინებელია თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი განპირობებულია გაცემული სესხებით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ექვივალენტებით (გარდა ნაღდი ფულისა).

საკრედიტო რისკი იმართება გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივები ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით.

	31.12.2020	გაუფასურების კოეფ.	რეზერვის თანხა
მოთხოვნები ჯგუფური გაუფასურების ანარიცხით			
მიმდინარე	1,406	0%	-
ვადაგადაცილება 31-90 დღე	189	5%	9
ვადაგადაცილება 91-180 დღე	69	15%	10
ვადაგადაცილება 181-360 დღე	169	50%	85
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	10,355	100%	10,355
მოთხოვნები გაუფასურებამდე	12,188		10,459

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო და მოქმედებს ფინანსური ინასტრუმენტების ღირებულებაზე. კომპანიას არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები, შესაბამისად სავალუტო რისკი არ ექნება.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც არ არსებობს საკმარისი ფინანსური რესურსი სესხების გასტუმრებისთვის და ვალდებულებების შესაბამის ვადაში დაფარვისთვის. კომპანია ახორციელებს ზედამხედველობას მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე იმისათვის, რომ აკონტროლოს ლიკვიდურობის რისკი. ანალიზი კეთდება ვადიანობის მიხედვით, თუ როდის არის კონკრეტული ვალდებულება გასასტუმრებელი და დააგენერირებს თუ არა კომპანია შესაბამის ფულად ნაკადებს მაგ პერიოდში.

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დაკავშირებული მხარეები	31.12.2020	31.12.2019
ნაშთი	(49,987)	(1,162)
ოპერაციები	50,357	23,374

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ოპერაციებზე.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ და ფაისკ ინტერპრეტაცია 22-ის - „უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარი გადახდა“ მოთხოვნების შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში -

„კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2020	31.12.2019
ლარი/აშშ დოლარი	3.2766	2.8677

ამონაგები

კომპანია აღიარებს შემოსავალს საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

კომპანია შემოსავლის ძირითად ნაწილს იღებს სპორტული დარბაზის აბონიმენტების გაყიდვიდან, რომელიც აღიარდება მაშინ, როდესაც ხდება მოცემული მომსახურების მიწოდება მომხმარებლისთვის და მას გადაეცემა აბონიმენტზე კონტროლი. აბონიმენტი მოქმედებს კონკრეტულ ვადამდე და მაგ პერიოდში ხდება ამონაგების აღიარება.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

ძირითადი საშუალების ნარჩენი ღირებულება, ცვეთის მეთოდი და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არის გარკვეული გარემოება, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს დაშვებების რეალობასთან სიახლოვეს.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს აქვს განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

აქტივების ამორტიზაცია ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, რაც გულისხმობს ცვეთის კლებადი თანხების დარიცხვას აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული 2022 წლის 3 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი: _____ გ. ოქრიაშვილი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

აქტივების ამორტიზაცია ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, რაც გულისხმობს ცვეთის კლებადი თანხების ღარიცხვას აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული 2022 წლის 3 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი: _____



გ. ოქრიაშვილი